N2686 2015 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოსთვის“ სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლისა და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის 27^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემის გაფართოების (SCPX) პროექტის ფარგლებში, გაზსადენის მშენებლობისა და შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის გარდაბანი-მარნეულის სატყეო უბნის ყოფ. საკოლმეურნეო ტყეში არსებული, 558 კვ.მ მიწის ფართობით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის (ხე-მცენარეების ჭრის უფლებით) ვადა „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ (ს/ნ: 205011609) განესაზღვროს 49 (ორმოცდაცხრა) წლამდე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**